ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №40

27 მარტი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
11:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის წევრები-გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე,ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, საბა ბუაძე, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

№11-01230831555 საკრ.№15—032308343-03 24/03/23წ

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს:.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.
ლევან მიქავას მოხსენებით, ძირითადი ცვლილება რაც წარმოდგენილია, არის ისნის რაიონული გამგეობისათვის გაგრილების სისტემის შესაკეთებლად გამოცხადებული ტენდერის დროულად ჩატარების მიზნით, გამგეობის (პროგ/კოდი 10 33) „საქონელი და მომსახურების“ მუხლში 130 000 ლარის დამატება.
თანხის დაბალანსება ხდება პროგრამის „მდგრადი ურბანული მობილობა-გონიერი სატრანსპორო სისტემა (პროგ/კოდი 10 23) შესაბამისად შემცირებით.
ასევე, გამგეობის წერილობითი მოთხოვნით, პროგრამაში „გზების მოვლა-შეკეთება“ (პროგ/კოდი 01 01 14) პირველი კვარტლის გეგმას ემატება 30 000 ლარი, მეორე კვარტლიდან. დაბალანსება ხდება რაიონის პროგრამის „კეთილმოწყობის ღონისძიებები“(პროგ/კოდი 02 09 16) პირველი კვარტლის შესაბამისად შემცირებით. ცვლილება გამოწვეულია ფაქტურად შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად.
წარმოდგენილია შესათანხმებლად ასევე, გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნა, პროგრამის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები“ (პროგ/კოდი 06 02 16 09) პირველი კვარტლის - 6300 ლარით გაზრდის და პროგრამის „ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 05 01 08) პირველი კვარტლის - 88 868 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით.
საერთო ჯამში წარმოდგენილი ცვლილებით გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 75 618 ლარით.

მომხრე-4. თავი შეიკავა - საბა ბუაძემ და ნინო წულაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული განვითარების, გარემოს დაცვის, ჯანდცვისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა,აკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვს მასზე

მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე **დამსწრე წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:**
"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ლევან არველაძე**